****

2015 წლის 15 მაისს, სსიპ ქალაქ თბილისის N18 საჯარო სკოლის 1ბ კლასის მოსწავლეებმა (დამრიგებელი ლელა წიკლაური) გამართეს ღონისძიება **“დღეს ყველა ასო შესწავლილია”**.

ღონისძიება იყო სანახაობრივი და სახალისო, ამავე დროს ატარებდა აღმზრდელობით ხასიათს, რის გამოც დამსწრე საზოგადოების მოწონება დაიმსახურა.

შთამბეჭდავი იყო მონაწილეთა კოსტიუმები და საკლასო ოთახის გაფორმება, რაც მოსწავლეთა მშობლების ძალისხმევით განხორციელდა.

ინგლისური სიმღერა ინგლისური ენის პედაგოგის, ნატალია გრატიაშვილის მიერ იყო მოწოდებული. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა მუსიკის პედაგოგმა ია გერგაულმა.

წარმატებებს ვუსურვებთ ნორჩებს!